ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 156

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანი/დავით აღმაშენებლის გამზ. №85-90-ის მიმდებარედ არსებული 634 კვმ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.16.05.002.035) 37 კვმ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008"-სთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №20.08.576 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანი/დავით აღმაშენებლის გამზ. №85-90-ის მიმდებარედ არსებული 634 კვმ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.16.05.002.035) 37 კვმ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008"-სთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 4200 ლარით, როგორც აღნიშნული 37 კვმ. მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო საფასურად განხილული თანხის (51800 ლარის) არანაკლები 5 %.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი